პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

ხის დასარგავად საუკეთესო დრო

ძველ რომში იანუსი იყო საწყისის ღმერთი. მას ხშირად აღწერენ ორი სახით: ერთი უკან, წარსულში იყურება, მეორე კი წინ, მომავალში. ზოგიერთ ენაში იანვრის თვე მის სახელს ატარებს, რადგან წლის დასაწყისი იყო გააზრებისა და დაგეგმვის დრო.

ათასობით წლის შემდეგ უამრავმა კულტურამ მთელს მსოფლიოში ტრადიციად გახადა ახალ წელს დაპირებების დადება. რა თქმა უნდა, ადვილია დაპირება, დაპირებების შესრულება კი სულ სხვა საქმეა.

იყო ადამიანი, რომელმაც საახალწლო დაპირებების გრძელი სია შეადგინა და თავსაც კარგად გრძნობდა წინსვლის გამო. იგი თავისთვის ფიქრობდა: „აქამდე დიეტა არ დამირღვევია, არ გავბრაზებულვარ, ზომიერად ვხარჯავდი ფულს და მეზობლის ძაღლის გამოც არ მიწუწუნია. მაგრამ დღეს 2 იანვარია და ეს-ესაა მაღვიძარამ დარეკა და დროა ავდგე. სასწაული უნდა მოხდეს, ასე რომ გავაგრძელო.“

თავიდან დაწყება

თავიდან დაწყებაში არის რაღაც არაჩვეულებრივად დამაიმედებელი. ვფიქრობ, რომ ამა თუ იმ დროს ჩვენ ყველას გვინდოდა რაიმეს სუფთა ფურცლიდან დაწყება.

მე ძალიან მიყვარს ახალი კომპიუტერი სუფთა ხისტი დისკით. რაღაც დროის განმავლობაში იგი შესანიშნავად მუშაობს. მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტი პროგრამის დაყენების შედეგად (ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შემთხვევით) კომპიუტერი იწყებს შენელებულ მუშაობას და ის, რასაც ადრე ჩქარა და ეფექტურად აკეთებდა, ახლა დიდ დროს ანდომებს. ზოგჯერ კი საერთოდ აღარ მუშაობს; როცა ხისტი დისკი გადატვირთულია სხვადასხვა პროგრამებით, თვით კომპიუტერის ამუშავებაც კი გაძნელებულია. არის შემთხვევები, როცა რჩება ერთადერთი საშუალება – ახალი ფორმატირება და თავიდან დაწყება.

ასევეა ადამიანები – ისინი შეიძლება გადაიტვირთონ შიშით, ეჭვით, მძიმე დანაშაულის გრძნობით. ჩვენს მიერ დაშვებულმა შეცდომებმა (გააზრებულმა თუ შემთხვევითმა) შესაძლოა ისე დაგვამძიმოს, რომ ვეღარ შევძლოთ იმის გაკეთება, რაც ვიცით – სწორია.

ცოდვის შემთხვევაში არსებობს ახალი ფორმატირების პროცესი, რომელსაც მონანიება ჰქვია. ამას შეუძლია ჩვენი შიდა ხისტი დისკის გაწმენდა, რომელიც ასე გვიმძიმებს გულს. სახარება, იესო ქრისტეს სასწაულმოქმედი, სანუგეშო გამოსყიდვის მეშვეობით, გვიჩვენებს ჩვენი

სულების ცოდვის ლაქებისგან გაწმენდის გზას და იმას, თუ როგორ გავხდე ისეთივე სუფთა და უმანკო, როგორც ბავშვი.

მაგრამ ზოგჯერ სხვა რამე გვანელებს ან უკან გვხევს და გვიჩენს არასასარგებლო აზრებსა და ქმედებებს და ეს ყველაფერი აფერხებს ამუშავებას.

საკუთარი თავის საუკეთესო კუთხით გამოვლენა

მიზნის დასახვა ღირებული მცდელობაა. ჩვენ ვიცით, რომ მამაზეციერს აქვს მიზნები, რადგან მან გვითხრა, რომ მისი სამუშაო და დიდება არის ადამიანის უკვდავებისა და მარადიული ცხოვრების განხორციელება (მოსე 1:39).

ჩვენს პირად მიზნებს შეუძლია ჩვენი საუკეთესო კუთხით წარმოჩენა. თუმცა ერთ-ერთი რამ, რაც ხელს უშლის ჩვენს მცდელობებს დაპირებების დადებასა და შესრულებაში არის საქმის გადადება. ჩვენ ზოგჯერ გადადებული გვაქვს დაწყება— ველით შესაფერის მომენტს იმისათვის, რომ დავიწყოთ: ახალი წლის პირველი დღე, ზაფხული, როცა აგვირჩევენ მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტად, როცა ბავშვები მივლენ სკოლაში ან როცა პენსიაში გავალთ.

არ არის საჭირო ელოდოთ მოპატიჟებას, რათა დაიწყოთ სვლა კეთილი მიზნებისკენ. არ არის საჭირო ელოდოთ ნებართვას იმისთვის, რომ გახდეთ ის, რაც უნდა გახდეთ. იმისთვის, რომ ეკლესიაში იმსახუროთ, არ არის საჭირო ელოდოთ მოპატიჟებას.

ზოგჯერ იმის მოლოდინში, რომ იყო არჩეული, წლები იკარგება (იხ მოძღვრება და აღთქმები 121:34–36). მაგრამ ეს ცრუ დაპირებაა. თქვენ უკვე ხართ არჩეულნი!

ზოგჯერ ჩემს ცხოვრებაში ყოფილა ისეთი მომენტები, როცა უძილო ღამეები გამიტარებია, რადგან შებოჭილი ვიყავი რაიმე საკითხის, დარდის ან პირადი წუხილის გამო. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ღამე, მე ყოველთვის მამხნევებს ის აზრი, რომ დილით მზე ამოვა.

ყოველი ახალი დღე განთიადით იწყება— არა მხოლოდ დედამიწისთვის, არამედ ჩვენთვისაც. ახალ დღეს კი ახალი დასაწყისი და თავიდან დაწყების შანსი მოაქვს.

თუ დავმარცხდებით?

ზოგჯერ შიშის გამო ვიხევთ უკან. ჩვენ შეიძლება გვეშინოდეს იმისი, რომ წარმატებას ვერ მივაღწევთ, ან პირიქით, მივაღწევთ, ან რომ შეგვრცხვება, ან რომ წარმატება შეგვცვლის, ან შეცვლის იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენ გვიყვარს.

ამასობაში ჩვენ მოლოდინში ვართ ან თავს ვანებებთ საქმეს.

სხვა რამე, რაც უნდა გვახსოვდეს, როცა საქმე მიზნების დასახვას ეხება, არის შემდეგი: ჩვენ ალბათ აუცილებლად განვიცდით მარცხს, ცოტა ხნით მაინც. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ხელები დავიკრიფოთ, შეგვიძლია გავძლიერდეთ, რადგან ამის გაგება იმის ტვირთს აგვაცილებს, რომ ამწუთასვე უნდა სრულყოფილნი გავხდეთ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ დროს მარცხს განვიცდით. წინასწარ ამის ცოდნა თავიდან გვაცილებს წარუმატებლობის ან ხელების დაკრეფის სიურპრიზებს.

როცა ჩვენ მიზნებს ამ კუთხით ვუდგებით, მარცხი ვერ შეგვზღუდავს. გახსოვდეთ, გინდაც მარცხი განვიცადოთ საბოლოოდ, ასე სასურველი მიზნის მიღწევაში, ჩვენ მაინც წარმატების გზაზე წინსვლას მივაღწიეთ და იგი მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდე.

და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძალიანაც კი თუ ჩამოვრჩებით ფინიშს, უბრალოდ მგზავრობის გაგრძელება უფრო უკეთეს პიროვნებად გაგვხდის, ვიდრე ადრე.

ახლაა დასაწყებად საუკეთესო დრო

ძველი ანდაზა ამბობს: „ხის დასარგავად საუკეთესო დრო 20 წლის წინ იყო. მეორე დრო ახლაა“.

სიტყვაში ახლა არის რაღაც შესანიშნავი და დამაიმედებელი. რაღაც ძალის მომცემია იმ ფაქტში, რომ თუ ახლა მივიღებთ გადაწყვეტილებას, იმავე მომენტში შეგვიძლია წინსვლა.

ახლა არის საუკეთესო დრო იმისთვის, რომ

გავხდეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც გვსურს, რომ ვიყოთ, არა მხოლოდ 20 წლით, არამედ სამარადისოდ.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტმა უხთდორფმა აგვიხსნა, რომ როცა მიზნის მიღწევაში მარცხს განვიცდით, „ჩვენ შეგვიძლია გავძლიერდეთ. . . . ძალიანაც კი თუ ჩამოვრჩებით ფინიშს, უბრალოდ მგზავრობის გაგრძელება უფრო უკეთეს პიროვნებად გვაქცევს, ვიდრე ადრე“. სთხოვეთ ოჯახის წევრს, გაგიზიაროთ გამოცდილება, როდესაც თვით პროცესიდან მეტი შეისწავლეს, ვიდრე შედეგიდან, მაგ. სკოლის დამთავრება ან ჯილდოს მიღება.

ახალგაზრდები

გახდით საკუთარ თავში არსებულის საუკეთესო ნაწილი ამ წუთიდან

პრეზიდენტი უხთდორფი გვასწავლის, რომ „პირად მიზნებს შეუძლია ჩვენი საუკეთესო კუთხით გამოვლენა“. დასახეთ რაიმე მიზნები თქვენი ცხოვრების ორ ან სამ სფეროში, მაგ. ფიზიკური ჯანმრთელობა, სულიერი ჯანმრთელობა, მეგობრობა. რა წარმატებებს გინდათ მიაღწიოთ წელს ამ სფეროებში? როცა ლოცვით მოიფიქრებთ რაიმე მიზნებს, დარწმუნდით იმაში, რომ ისინი მიღწევადია, თუმცა თქვენგან ზრდას მოითხოვს. დღიურში დეტალებში აღწერეთ მიზნები ისე, რომ წლის ბოლოს შეძლოთ საკუთარი პროგრესის დანახვა.

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. *First Presidency Message, January 2014.* Georgian.10861 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მაგალითი

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ იმას, რაც უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის თქვენს რწმენას ქრისტეში და აკურთხებს მათ, ვისთანაც სტუმრობთ, ქრისტეს ცხოვრებისა და მისიის გაგება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილის სერიათა პირველი გზავნილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ასპექტებს.

როცა გვესმის, რომ იესო ქრისტე არის ჩვენი მაგალითი ყველაფერში, ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ სურვილი – მივყვეთ მას. წმინდა წერილი სავსეა ჩვენი შეგულიანებით – ვიაროთ ქრისტეს კვალზე. ნეფიელებს ქრისტემ უთხრა, რომ რაც კი დაინახეს, რომ მას უკეთებია, ისინიც გააკეთებენ ამას“(3 ნეფი 27:21). იესომ უთხრა თომას: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე: ვერავინ ვერ მივა მამასთან, თუ არა ჩემით“ (იოანე 14:6).

დღეს ჩვენი ხელმძღვანელები გვახსენებენ – ვიქონიოთ მაგალითად მხსნელი. ლინდა კ. ბერტონმა, მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტმა, თქვა: „როცა თითოეული ჩვენთაგანის გულში ღრმად ჩაიწერება გამოსყიდვის დოქტრინა, ჩვენ გავხდებით ისეთი ადამიანები, როგორებიც უფალს სურს, რომ ვიყოთ“.[1]

პრეზიდენტმა თომას ს. მომსონმა თქვა: „ჩვენი უფალი და მხსნელი, იესო ქრისტე, არის ჩვენი მაგალითი და ძალა“.[2]

მოდით შევპირდეთ საკუთარ თავს, რომ მივუახლოვდებით იესო ქრისტეს, დავემორჩილებით მის მცნებებს და ვეცდებით დავუბრუნდეთ მამაზეციერს.

წმინდა წერილიდან

2 ნეფი 31:16; ალმა 17:11; 3 ნეფი 27:27; მორონი 7:48

ჩვენი ისტორიიდან

„მან მონიშნა და გაგვიკვალა გზა“, დაწერა იესო ქრისტეს მიწიერი მსახურების შესახებ ელიზა რ. სნოუმ, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა.[3] იგი ინდივიდუალურად ემსახურებოდა ადამიანებს. უფალმა გვასწავლა, რომ ოთხმოცდაცხრამეტი უნდა მივატოვოთ ერთი დაკარგულის გამო (იხ.ლუკა 15:3–7). იგი კურნავდა ინდივიდებს, 2 500 კაცშიც კი თითოეულ ადამიანს უთმობდა დროს (იხ.3 ნეფი 11:13–15; 17:25).

პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, დიტერ ფ.უხთდორფმა ასე თქვა უკანასკნელი დღეების წმინდანთა ქალებზე: „თქვენ, შესანიშნავო დებო, უწევთ სხვებს შემწყნარებელ მსახურებას ისეთი მიზნების გამო, რომლებიც აღემატება პირად სარგებელს. ამაში თქვენ ბაძავთ მხსნელს.. . . მისი აზრები ყოველთვის მიმართული იყო სხვების დასახმარებლად“.[4]

შენიშვნები

1. ლინდა კ. ბერტონი, “Is Faith in the Atonement of Jesus Christ Written in Our Hearts?” *Ensign* or *ლიახონა,* ნოემბერი 2012, 114.
2. თომას ს. მონსონი, “Meeting Life’s Challenges,” *Ensign,* ნოემბერი 1993, 71.
3. “How Great the Wisdom and the Love,” *ჰიმნები,* no. 195.
4. დიტერ ფ.უხთდორფი, “Happiness, Your Heritage,” *Ensign* ან *ლიახონა,* ნოემბერი 2008, 120.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. რატომ და რანაირად არის ქრისტე ჩემი მაგალითი?

2. როგორ მეხმარება დებისთვის მსახურება, მივყვე მაცხოვარს?

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2014.* Gorgian. 10861 131